ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3649761

ნომერი: AR1542499

თარიღი : 21.09.2017

გაცემის თარიღი : 03.11.2017

გაცნობის თარიღი : 06.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა/ ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ნიკურაძე პ/ნ 01030039742
- თბილისი მ.გორკის ქ. N 25

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 21 სექტემბრის NAR1542499 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.006.519; N01.72.14.006.518), გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია/განთავსების მიზნით 2014 წლის 25 ნოემბერს №1602485 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას ახალი შენებლობის დაფიქსირების მიზნით.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2014 წლის 25 ნოემბრის №1602485 გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირბეის საკითხთა საბჭოს 2014 წლის 13 ნოემბრის N41 სხდომის წევრთა რეკომენდაციები, რომლის მიხედვით: – ვინაიდან არსებული ბენზინგასამართი სადგური წარმოადგენს საპროექტო ადგილისთვის ისედაც შეუსაბამო ობიექტს, მისი რეკონსტრუქცია/განთავსება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის პირველივე მოთხოვნისთანავე მოხდება მისი დემონტაჟი და ეს ვალდებულება დაფიქსირდება საჯარო რეესტრში. დღევანდელი მდგომარეობით საკითხი განხილულ იქნა ქალაქ თბილისიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 26 ოქტომბრის N43 სხდომაზე ახალი მშენებლობის კუთხით, რაც ეწინააღმდეგემა 2014 წლის 25 ნოემბერს №1602485 გადაწყვეტილების დამტკიცების საფუძველს.

საბჭოს წევრთა რეკომენდაციით ვინაიდან აქტი გაცემულია რიგი მითითებებით და ვალდებულებებით, მასში ცვლილება მშენებლობის სახეობის ცვლილების კუთხით ვერ განხორციელდება. საკითხი საჭიროებს ახალი მიწის ნაკვეტის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, რომელიც უნდა იქნეს განხილული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიუტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირბეის საკითხთა საბჭოს სხდომაზე სპეციალური ზონალური შეთანხმების მისაღებად, კვალიფიციური ქალაქგეგმარებითი დასაბუთების საფუძველზე დღევანდელი კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 21 სექტემბრის NAR1542499 განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.